



საქართველოს ეკადემიური
ცენტრი ბიბლიოთეკა

ლევან გრიგალაშვილი, თინათინ ლომჯარია

საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვა

თბილისი
2016



ლევან გრიგალაშვილი, თინათინ ლომჭარია

საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი – 2016

ლეგან გრიგოლაშვილი, თინათინ ლომფარია – საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვა 77 გვ.
თბილისი 2016 წ.

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვის მოწესრიგების
პირველ მცდელობას. იგი არის მეთოდური დანიშნულების სახელმძღვანელო, რომლის მიზანა სა-
ბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვის სრულყოფა და მათი დაცულობის უზრუნველყოფა. მისი გამოყე-
ნება შეუძლია სხვადასხვა საბიბლიოთეკო დაწესებულებებს თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში,
აგრეთვე ამ საკითხებით დაინტერესებულ სხვა პირებს.

რედაქტორები: გიორგი ვეკელიძე
მირიან ხოსიტაშვილი
სოფიო გელუკაშვილი-მოსია
მერაბ ვეკუა

ტექნიკური უზრუნველყოფა: შალვა პაპალაშვილი

სარჩევი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო	3
ფონდების აღრიცხვის ინსტრუქცია	3
თავი I. ზოვადი დებულებები	3
თავი II. საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვის სახეები	5
თავი III. საბიბლიოთეკო ფონდის აღრიცხვის ერთეული	8
თავი IV. ღოკუმენტების აღრიცხვა სახეობებისა და კატეგორიების მიხედვით	9
თავი V. საბიბლიოთეკო ფონდში შემოსული ღოკუმენტების აღრიცხვა	13
თავი VI. ღოკუმენტების საბიბლიოთეკო ფონდიდან გარიცხვა	22
თავი VII. დოკუმენტების გადაადგილება, საბიბლიოთეკო ფონდის მოძრაობის შედეგები	26
თავი VIII. საბიბლიოთეკო ფონდის შემოწმება	26
თავი IX. ფონდების აღრიცხვის საქმისწარმოების ორგანიზაცია	27
თავი X. ეროვნული ბიბლიოთეკის საჯარო მოსამსახურეთა პასუხისმგებლობა საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზებასთან მიმართებაში	29
თავი XI. დასკვნითი დებულებები	29
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო ფონდების ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქცია	30
დანართები	34

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო
ფონდების აღრიცხვის ინსტრუქცია

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის (შემდგომში – ეროვნული ბიბლიოთეკა) საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვის ინსტრუქციის შემუშავებულია „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დებულების“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მუფლორგანიზაციების ბუღალტრულიაღრიცხვის შესახებინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ ბრძანების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 28 ივლისის N511 „საბიუჯეტო ორგანიზაციების პარკეტადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“ ბრძანების და სხვა კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად და ადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო ფონდების დაცვისა და აღრიცხვის წესებს.

2. ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვა წარმოადგენს სახელმწიფო სტატისტიკის, ბიბლიოთეკის ანგარიშგების და მუშაობის დაგეგმვარების საფუძველს, უზრუნველყოფის ფონდის შენახვას და დაცვას. აღრიცხვის არსი მდგომარეობს ყოველი შემოსული დოკუმენტის ცალ-ცალკე რეგისტრაციასა და ამავე დროს, მათი საერთო რაოდენობის დადგენაში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები:

ა) საბიბლიოთეკო დოკუმენტი – ინფორმაცია, რომელიც დაფიქსირებულია ინფორმაციის მარარებელ საშუალებაზე ტექსტის, ხმოვნის ჩანაწერის ან გამოსახულების სახით, ბიბლიოგრაფიულად იდენტიფიცირებადია და განკუთვნილია დროსა და სივრცეში გადასაცემად;

ბ) წიგნი – ძეგლი – ხელმაწერი და ბეჭდური წიგნები, რარიტეტული დოკუმენტები, წიგნის კოლექციები და მათი სახეობები, რომლებსაც აქვთ სულიერი, ესთეტიკური და პოლიგრაფიული,



ან წყაროთმცვლეობითი მახასიათებლები, წარმოადგენს საზოგადოებრივად მნიშვნელოვანს, სამცნიერო, ისტორიულ ან კულტურულ ღირებულებას და დაცულია სახელმწიფოს მიერ დაცულის სახელმწიფოს

გ) საბიბლიოთეკო ფონდი — დოკუმენტების სისტემაში მოყვანილი კოლექცია, რომელიც ფორმირებულია ბიბლიოთეკის ამცადების შესაბამისად მისი პროფილის საფუძველზე და განკუთვნილია შენახვისა და საზოგადოებრივი გამოყენებისათვის სამცნიერო, კულტურული და საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით;

დ) საბიბლიოთეკო ფონდის აღრიცხვა — წესებისა და პროცედურების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ფონდის რეგისტრაციას და ცნობებს მოცულობის, შემადგენლობის, ფონდის მოძრაობის და ღირებულების შესახებ;

ე) საბიბლიოთეკო ფონდში მიღება (ჩარიცხვა) — იმ დოკუმენტების საბიბლიოთეკო ფონდში ჩართვა და აღრიცხვა-რეგისტრაცია, რომლებიც შემოსულია შესყიდვის, გაცვლის, საჩუქრის, შემოწირულის გზით;

ვ) დოკუმენტის შესყიდვა — ბიბლიოთეკის მიერ დოკუმენტის შეძენა სავაჭრო ორგანიზაციებისაგან ან კერძო პირებისაგან საფასურის გადახდის საშუალებით;

ზ) ნაწუქარი და შემოწირული დოკუმენტები — საბიბლიოთეკო ფონდების დაკომპლექტების მნიშვნელოვანი წყარო, რომელსაც ნებაყოფლობით, უსსყიდლოდ ახორციელებენ კერძო პირები და ორგანიზაციები, მათ შორის გამოსაცემ ლიტერატურაზე საერთაშორისო სტანდარტული ნომრის გამოცემის ხელშეკრულების საფუძველზე;

თ) ISBN, ISSN, ISMN — წიგნის, სერიალური გამოცემების, მუსიკალური გამოცემების საერთაშორისო სტანდარტული ნომრები, რომლებსაც გასცემს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა გამომცემლობებთან ან ავტორებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე;

ი) ფონდის აღრიცხვის ერთეული — ცალკეული დოკუმენტი ან ერთი ტიპის დოკუმენტების ერთობლიობა, რომლებიც ამ ერთეულად გამოიყოფა საბიბლიოთეკო ფონდის აღრიცხვის მიზნით;

კ) საბიბლიოთეკო დოკუმენტების პარტია — ჯამური აღრიცხვის ობიექტი: ერთეურად მიღებული საბიბლიოთეკო დოკუმენტების რაოდენობა. იწერება ჯამური აღრიცხვის წიგნის პირველ ნაწილში შემოსვლის თარიღისა და რიგითი ნომრის აღნიშვნით;

ლ) ინდივიდუალური (დიფერენცირებული) აღრიცხვა — ფონდში შემოსული ან ფონდიდან გარიცხული ცალკეული ეგზიმბლარის ან დოკუმენტის თითოეული სახელწოდების რეგისტრაცია სააღრიცხვო ფორმაში;

მ) ჯამური (ინტერირებული) აღრიცხვა — სააღრიცხვო ფორმაში ყველა სახეობის დოკუმენტის პარტიებად (ჯგუფებად) რეგისტრაცია ფონდის მოცულობის და მასში მიმდინარე ცვლილებების (დოკუმენტების შემოსვლა, გადაადგილება, გარიცხვა) დაგენის მიზნით;

ნ) სააღრიცხვო ფორმები — დოკუმენტების სარეგისტრაციო ქრინალები (საინვენტარო წიგნები) ან სხვა უნიფიცირებული ბლაკები, რეკომენდებული სხვადასხვა ფონდებისთვის;



ო) ფონდიდან გარიცხვა — საბიბლიოთეკო ფონდიდან იმ დოკუმენტების ამოღება და აღრიცხვიდან მოხსნა, რომელთაც დაკარგული აქვთ ბიბლიოთეკის სამომხმარებლო თვის შემთხვევაში ექვემდებარებიან დადგენილი წესით განკარგვას.

პ) ფონდის გადაადგილება — დოკუმენტების გადაადგილება ბიბლიოთეკის მოქმედი ფონდების ფარგლებში საერთო სტატისტიკური აღრიცხვის შეუცვლელად;

ჟ) ფონდის საბალანსო ღირებულება — საბიბლიოთეკო ფონდის ღირებულება, ასახული საბუღალტრო აღრიცხვაში;

რ) საბიბლიოთეკო ფონდის შემოწმება — დოკუმენტების გადამოწმება სააღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დასადასტურებლად;

ს) დოკუმენტების ინვენტარიზაცია — ინდივიდუალური აღრიცხვის სახეობა, რომელიც გულისხმობს მუდმივშესახის დოკუმენტებისათვის საინვენტარო ნომრების მინიჭებას. ინვენტარიზაცია წარმოებს როგორც საინვენტარო წიგნში, ასევე ბარათზე ან ელექტრონულ ფორმაში;

ტ) დოკუმენტების რეგისტრაცია — შესანახად განკუთვნილი დოკუმენტების საინვენტარო წიგნში ან სხვა სააღრიცხვო ფორმაში ჩაწერა;

უ) პერიოდული გამოცემების რეგისტრაცია — რეგულარული ჩანაწერი პერიოდული გამოცემების შემოსულ ნომრებზე მათი კონტროლისა და ბოლო ნომრის დადგენის მიზნით;

ფ) დუბლეტური ეგზემპლარი — ბიბლიოთეკის ფონდში განმეორებული ეგზემპლარი;

ქ) დაკომპლექტების პროცესი, დაკომპლექტების თემატურ-ტიპოლოგიური გეგმა — დოკუმენტი, რომელიც ადგენს ბიბლიოთეკის დაკომპლექტების პროცესის მიზნით განვითარებას და საყვარელობას, განსაზღვრავს ფონდებში ჩასარიცხი დოკუმენტების თემატიკას, სახეობებს და ეგზემპლარების რაოდენობას.

თავი II

საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვის სახეები

მუხლი 3

1. ხაქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დებულების თანახმად, ეროვნული ბიბლიოთეკის ძირითადი ფუნქციებია:

ა) საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება, სისტემატიკური შექსება მეცნიერული და კულტურული ღირებულების მქონე სამამულო და უცხოური გამოცემებით; მათი დაცვა და საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ბ) საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიული სტატისტიკის წარმოება და გამოცემა.

2. საბიბლიოთეკო ფონდის ორგანიზება და დაცვა გულისხმობის საბიბლიოთეკო ფონდის აღრიცხვას, რომელიც მოიცავს საბიბლიოთეკო ფონდში დოკუმენტების მიღებას, რეგისტრაციას, ფონდიდან მათ

გარიცხვას, მთელი საბიძლიოთეკო ფონდის და მისი ქვეფონდების მოცულობის დადგენას თემატიკა –
სახეობითი, ენობრივი და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით.



3. ფუნქციების მიხედვით განასხვავებენ საბიძლიოთეკო ფონდის აღრიცხვის შემდეგ სახეებს:
საბიძლიოთეკო აღრიცხვა, საბუღალტრო აღრიცხვა და სტატისტიკური აღრიცხვა.

4. საბიძლიოთეკო აღრიცხვის ფორმებია: ინდივიდუალური და ჯამშრი.

• **ინდივიდუალური** (დიფერენცირებული, არალიტიკური, ოპერატიული) აღრიცხვის დანიშნულებაა, მოგვცეს წარმოდგნა საბიძლიოთეკო ფონდებში არსებული თითოეული დოკუმენტის საიდენტიფიკაციო მახასიათებლების შესახებ, ფონდებში მის ადგილმდებარებისაზე ან ფონდებიდან გარიცხვაზე. ინდივიდუალური აღრიცხვის ფორმებაა: მიღება-ჩაბარების აქტები, საინვენტარო წიგნები, სარეგისტრაციო და საკატალოგო ბარათები, ფონდებს შორის დოკუმენტების მოძრაობისა და ფონდიდან გარიცხვის აქტები და სხვ.

• **ჯამშრი** (ინტეგრირებული, რაოდენობრივი) აღრიცხვის დანიშნულებაა, მოგვცეს წარმოდგენა საბიძლიოთეკო ფონდის რაოდენობის, სტრუქტურის, მოცულობისა და განახლების შესახებ. ჯამშრი აღრიცხვის ობიექტია შემოსული დოკუმენტი ან დოკუმენტების ჯგუფი.

5. საბიძლიოთეკო აღრიცხვას აწარმოებს ეროვნული ბიბლიოთეკის საბიძლიოთეკო რესურსების დეპარტამენტი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა: ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდების ფორმირება და დაკამბლექტება; ბიბლიოთეკის ფონდების ორგანიზება, მართვა და დაცვა; ფონდების კატალოგიზაცია.

საბიძლიოთეკო აღრიცხვას ექვემდებარება ბიბლიოთეკაში შემოსული ყველა დოკუმენტი, მიუხედავად მათი შენახვის ვადისა.

6. საბუღალტრო აღრიცხვა – საბიძლიოთეკო ფონდის საბალანსო ღირებულების აღრიცხვა ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი წესების შესაბამისად. საბიძლიოთეკო ფონდის ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ეროვნული ბიბლიოთეკის ბუღალტრია.

7. სტატისტიკური აღრიცხვა – საბიძლიოთეკო ფონდში არსებული დოკუმენტების რაოდენობის აღრიცხვა დაღვენილი წესების შესაბამისად. სტატისტიკურ აღრიცხვას აწარმოებს ეროვნული ბიბლიოთეკის საბიძლიოთეკო რესურსების დეპარტამენტი.

მუხლი 4

1. დოკუმენტის თითოეული ეგზემპლარის ინდივიდუალური აღრიცხვა ხორციელდება ინვენტარიზაციის შეთოდის გამოყენებით – დოკუმენტისთვის საინვენტარო ნომრის მინიჭების გზით ან დოკუმენტის რეგისტრაციის საშუალებით საინვენტარო ნომრის მინიჭების გარეშე.

2. მუდმივ შენახვას დაქვემდებარებულ დოკუმენტებს ენიჭებათ საინვენტარო ნომრები. დროებითი შენახვის დოკუმენტებს საინვენტარო ნომერი არ ენიჭებათ. პირველად საბუთებში რეგისტრაციის შემდეგ ისინი რეგისტრირდებიან ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ შემოღებულ ინდივიდუალური აღრიცხვის ფორმებში.



3. საინვენტარო (ინდივიდუალური) ნომერი დოკუმენტს გასდევს საბიბლიოთეკო ფონდში მეტყველების არსებობის მანძილზე. საინვენტარო ნომრის შეცვლა ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც დოკუმენტის სხვა ფონდებიდან გადაეცემა საარქივო ფონდს ან პირიერთ. ფონდიდან გარიცხული დოკუმენტების საინვენტარო ნომრები ახალიმიღებულ დოკუმენტებს არ ენიჭებათ.

4. ინდივიდუალური აღრიცხვის ფორმებს წარმოადგენს: წიგნდი (საინვენტარო წიგნი), ბარათული (სააღრიცხვო კატალოგის ბარათი), სარეგისტრაციო ბარათი დოკუმენტის განსაზღვრული სახეობისთვის — განვითარებისთვის, ურნალებისთვის, ელექტრონული, აუდიოვიზუალური და სხვა სახეობის დოკუმენტებისთვის), ფურცლოვანი (სააქტო აღრიცხვის ფურცელი).

5. წიგნის ფონდის, პრერიცხული გამოცემების, აუდიოვიზუალური, ელექტრონული დოკუმენტების და მიკროფონულების ინდივიდუალური აღრიცხვისათვის გამოიყენება ყოველი სახეობისთვის განკუთვნილი ცალკე სააღრიცხვო ფორმები, კერძოდ „წიგნის ფონდის საინვენტარო წიგნი“ (დანართი 1), „აუდიოვიზუალური, ელექტრონული დოკუმენტების და მიკროფონულების საინვენტარო წიგნი“ (დანართი 2), „აუდიოვიზუალური, ელექტრონული დოკუმენტების და მიკროფონულების საინვენტარო წიგნი“ (დანართი 3).

6. ინდივიდუალური აღრიცხვის ფორმები (საინვენტარო წიგნები და სხვა) სავალდებულო წესით უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ჩანაწერის თარიღი;
- საინვენტარო ნომერი;
- ავტორი;
- სათაური / გამოცემის სახელწოდება, ტომის ნომერი;
- გამოცემა (მერამდენე);
- გამოცემის ადგილი;
- გამოცემის წელი;
- ფასი;
- მიღება-ჩაბარების აქტის ნომერი;
- გვერდების რაოდენობა;
- გარიცხვის აქტის ნომერი;
- აღნიშვნა შემოწმების შესახებ;
- შენიშვნა.

7. ძვირფასი შეტალებით ან ქვებით გაფორმებული დოკუმენტების აღრიცხვა, რომლებიც სეიფებში შესანახ კატეგორიას განკუთვნება, ხორციელდება სპეციალურ საინვენტარო წიგნში, რომელშიც გარდა ტრადიციული მარვენბლებისა, მოცემულია ყოველი დოკუმენტის გარეგნული გაფორმების აღწერა. საინვენტარო წიგნის ყოველ ფურცელს ახლავს დასკვნითი ჩანაწერი შედგენის თარიღის მითითებით. ასეთ საინვენტარო წიგნს დამატებით აწარმოებს ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილება.



მუხლი 5

- კამური (ინტეგრირებული, რაოდენობრივი) აღრიცხვის დანიშნულებაა, მოვცეცენტრიზე საბიბლიოთეკო ფონდის რაოდენობის, სტრუქტურის, მოცულობისა და განახლების შესახებ. კამური აღრიცხვის ბიბლიოგრაფიული დოკუმენტი ან დოკუმენტის ჯგუფი. კამური აღრიცხვის ფორმებია: ჯგუფი აღრიცხვის წიგნები, ურნალები, ფურცლები.
- ინფორმაციის მატარებლის სახეობის მიუხედავად, მონაცემები საბიბლიოთეკო ფონდის მოძრაობის შესახებ ფიქსირდება წლიური კამური აღრიცხვის წიგნში, რომელიც 3 ნაწილისაგან შედგება:

- ნაწილი 1 – «ფონდში ჩარიცხვა» (**დანართი 4**);
- ნაწილი 2 – «ფონდიდან გარიცხვა» (**დანართი 5**);
- ნაწილი 3 – «საბიბლიოთეკო ფონდის მოძრაობის წლიური შედეგები» (**დანართი 6**).

3. განზოგადებული სტატისტიკური მონაცემები აისახება წლიური კამური აღრიცხვის წიგნის შესაბამის ნაწილში. პირველ ნაწილში – ერთი წლის მანძილზე ფონდებში ჩარიცხული დოკუმენტების რაოდენობა, მე-2 ნაწილში – ერთი წლის მანძილზე ფონდიდან გარიცხული დოკუმენტების რაოდენობა, ხოლო მე-3 ნაწილში სტატისტიკური მონაცემები შედის შემდეგი ფორმით: «ირიცხებოდა — წლის დასაწყისში, შემოვიდა — წლის განმავლობაში, გაირიცხა — წლის განმავლობაში, ირიცხება — წლის ბოლოს».

4. კამური აღრიცხვის წიგნის მე-3 ნაწილი წარმოადგენს სახელმწიფო სტატისტიკური აღრიცხვის საფუძველს. სტატისტიკური აღრიცხვა ხორციელდება ფონდში დოკუმენტების აღრიცხვის რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

თავი III

საბიბლიოთეკო ფონდის აღრიცხვის ერთეული

მუხლი 6

1. ბეჭდური გამოცემების, გამოუქვეყნებელი, აუდიოვიზუალური და ელექტრონული დოკუმენტების აღრიცხვის ძირითადი ერთეულებია (გარდა დისტანციური წვდომის ქსელური დოკუმენტებისა) ეგზემპლარი და სახელწოდება; უკრანალებისა და გაზითებისთვის – წლიური კომპლექტი და სახელწოდება; ქსელური დოკუმენტებისთვის – პაკეტი.

ეგზემპლარი – დოკუმენტის ცალკეული ერთეული, რომელიც ფონდშია ჩარიცხული ან ფონდიდან გარიცხულია.

სახელწოდება – თითოეული ახალი, ან განმეორებითი გამოცემა, ან სხვა დოკუმენტი, სხვებისაგან განსხვავებული ავტორის სახელით, სათაურით, სარედაქციო ცნობებით ან გაფორმების სხვა ელემენტით;

სათაური – დოკუმენტზე წარმოადგილი სიტყვა ან ფრაზა, რომლის მეშვეობითაც ხდება დოკუმენტის იდენტიფიკაცია, რაც გამოარჩევს მას სხვა ნებისმიერი დოკუმენტისაგან;



წლიური კომპლექტი – პერიოდული გამოცემების ერთ წელიწადში გამოცემული წერილების ერთობლივი განვითარება;

2. ფონდის დამატებითი სააღრიცხვო ერთეულებია: აკინძვის ერთეული, თარომეტრი, ელექტრონული დოკუმენტებისთვის – ბაიტი.

- აკინძვის ერთეული – ერთად შეკერილი, აკინძვილი ან სხვა ხერხებით ერთ მთლიანობად შეკრული პერიოდული გამოცემების ნომრების ერთობლივია;

- თარომეტრი – ფონდის მოცულობის საერთაშორისო საზომი, რომლითაც განისაზღვრება ბეჭდური პროდუქციის შენახვის ერთეულების რაოდნობა ერთ მეტრ სტელაჟზე განლაგებულ წიგნებისა და სხვა დოკუმენტების რაოდნობის მიხედვით (ერთ მეტრ სტელაჟზე საშუალოდ 50 წიგნი. ISO 2789:91);

- ბაიტი – მეხსიერების მონაცემების ერთეული, რომელიც უდრის 8 ბაიტს; (კილობაიტი, მეგაბაიტი, გიგაბაიტი, ტერაბაიტი და სხვ.).

თავი IV

დოკუმენტების აღრიცხვა სახეობებისა და კატეგორიების მიხედვით:

მუხლი 7

1. გამოცემა – დოკუმენტი, რომელმაც გაიარა სარედაქციო-საგამომცემლო დამუშავებება, გაფორმებულია დამოუკიდებლად, ახლავს საგამომცემლო ცონბები და განკუთვნილია ინფორმაციის გადასაცემად.

2. ბეჭდური გამოცემა – დოკუმენტი, რომელიც მიღებულია ბეჭდვის ან ტვიფვრის გზით, გავლილი აქვს სარედაქციო-საგამომცემლო დამუშავებება, აქვს დამოუკიდებელი პოლიგრაფიული გაფორმება და ახლავს საგამომცემლო ცნობები. მათ განეკუთვნება: წიგნები, ბროშურები, ურნალები, სერიული გამოცემები, ფურცლოვანი გამოცემები, გაშეფაბი, გრაფიკული გამოცემები, მუსიკალური გამოცემები, კარტოგრაფიული გამოცემები, ნორმატიულ-ტექნიკური გამოცემები, სხვა დოკუმენტები.

3. გამოუქვეყნებელი დოკუმენტები – ხელახწერი დოკუმენტები ან დოკუმენტები ტირაჟირებული ერთეულ ეგზემპლარად, რომელებსაც გააჩნიათ ინტელექტუალური საკუთრების წილები. მათ განეკუთვნება: დეპონირებული სამეცნიერო შრომები, დისერტაციები, ავტორუფერატები ხელნა-წერის უფლებით, რეპრინტები, ანგარიშები სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესახებ, თარიმანები, აღმოჩენების აღწერები და კომპიუტერული პროგრამები, საპროექტო-საკონსტრუქტორო დოკუმენტები.

4. ბეჭდური გამოცემების ძირითად სააღრიცხვო ერთეულს წარმოადგენს ეგზემპლარი (ან წლიური კომპლექტი) და სახელწოდება. ეგზემპლარებით აღრიცხვას ექვემდებარება ყველა პოლიგრაფიული, დამოუკიდებლად გაფორმებული გამოცემა (გაზითის გარდა) ან მათი ასლები.

5. წიგნები და ბროშურები – ცალკეულ ეგზემპლარად და ცალკე სახელწოდებად აღრიცხება:



- ყოველი ახალი გამოცემა (წიგნი, ბროშურა), რომელიც ცალკე გამოიცემა;
- კონკორდაციის შემავალი ყოველი გამოცემა;
- მრავალტრომეულიდან – ყოველი ახალი გამოცემა (ტომი, ნაწილი), რომელსაც აქვს დამოუკიდებელი სათაური;
- ყოველი ცალკე აღებული ბროშურა, რომელიც გამოცემულია მათ გამარტინანებელ ერთ საგამომცემლო აკინძვაში;
- ყოველი წიგნი ან ბროშურა, რომელიც შედის მონოგრაფიულ სერიაში (დანომრილში ან დაუნომრავში);
- ცალკე გამოცემული დამატებები წიგნზე და ბროშურებზე, რომელთაც აქვთ ინდივიდუალური სათაური და გააჩნიათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა.

6. რელიეფურად შესრულებული დოკუმენტები – (ბრაილის შრიფტი) ალირიცება ეგზემპლარებით და სახელწოდებებით. ამ სახეობის დოკუმენტებისთვის ეგზემპლარს წარმოადგენს კომპლექტი. ერთ ეგზემპლარად და ერთ სახელწოდებად აღირიცხება გამოცემის კომპლექტი, მიუხედავად მასში შემავალი წიგნების რაოდენობისა.

7. ურნალები და გრძელდებადი გამოცემები – აღირიცხება ეგზემპლარებით და სახელწოდებებით, სათაურის შეცვლის მიუხედავად. ურნალების ფონდის მოცულობა განისაზღვრება წლიური კომპლექტებით.

- ეგზემპლარად ითვლება ცალკეული ნომერი, ტომი, გამოშვება და აგრეთვე ტომების, ნომრების, გამოშვებების კომპლექტი, გამოცემული ერთ აკრძალვი გამოცემლობის მიერ.
- დამოუკიდებლად გამოცემული პერიოდული დამატებები ურნალებზე, აღირიცხება, როგორც ცალკე სახელწოდებები.
- გრძელდებადი გამოცემის ყოველი სერია, რომელსაც ინდივიდუალური სათაური და გამოშვებების საკუთარი ნუმერაცია აქვს, აღირიცხება როგორც ცალკე სახელწოდება.
- გრძელდებადი გამოცემის ყოველი დამოუკიდებელი ტომი აღირიცხება, როგორც ცალკეული სათაური.

8. გაზეთები – აღირიცხება წლიური კომპლექტებით და კომპლექტების სახელწოდებებით გაზეთის სათაურის შეცვლის მიუხედავად (ინახება ერთ შიგნიზე). გამონაკლის წარმოადგენს ერთჯერადი გაზეთები, რომლებიც აღირიცხება ეგზემპლარებით და გაზეთის სახელწოდებით, ხოლო ცალკე გამოცემული პერიოდული დამატებები გაზეთებზე, რომელთაც დამოუკიდებელი სათაური და საკუთარი ნუმერაცია აქვთ, აღირიცხება დამოუკიდებლად.

9. გრაფიკული გამოცემები (აღმომები, კომპლექტები, ცალკეული ფურცლოვანი გამოცემები) – აღირიცხება ეგზემპლარებით და სახელწოდებებით:

ცალკე ეგზემპლარად და ცალკე სახელწოდებად აღირიცხება:

- აღბომის ყოველი გამოცემული ტომი, გამოშვება, რომელსაც ინდივიდუალური სათაური აქვს;
- გრაფიკული სერიის ყოველი ფურცელი, რომელიც არ არის გაერთიანებული საგამომცემლო ყდით ან მანეჯერით;
- ფურცლოვანი გამოცემები, რომლებიც გაერთიანებულია ყდით, მანეჯერით – აღირიცხება როგორც ერთი ეგზემპლარი და ერთი სახელწოდება.

10. მუსიკალური გამოცემები — აღირიცხება ეგზემპლარებით და სახელწოდებებით.

ცალკე ეგზემპლარებად და ცალკე სახელწოდებად აღირიცხება:

- დამოუკიდებელი სანოტო გამოცემები, გაერთიანებული ერთ ყდაში (კონკორდუმში);
- ცალკეული პარტიები (ხმები) და პარტიტურა (კლავირი), გამოცემული ცალკეული;
- ერთ ეგზემპლარად და ერთ სახელწოდებად აღირიცხება:
- ცალკე პარტიები (ხმები) გაერთიანებული პარტიტურასთან (კლავირთან) ერთ გამოცემაში, აგრეთვე პარტიები ერთ საგამომცემლო ყდაში;

11. კარტოგრაფიული გამოცემები — აღირიცხება ეგზემპლარებით და სახელწოდებებით.

ცალკე ეგზემპლარად და ცალკე სახელწოდებად აღირიცხება:

- ატლასები, შემდგარი ცალკე დანომრილი ან დათარიღებული გამოშვებებისაგან;
- რუკების ან ატლასების სერიული გამოცემის ყოველი გამოშვება;
- ერთ ეგზემპლარად და ერთ სახელწოდებად აღირიცხება:
- რუკა, გამოცემული რამდენიმე ფურცელზე, გაერთიანებული ერთი სათაურით.

ტომების რაოდენობის მიხედვით და ერთ სახელწოდებად აღირიცხება: საერთო სათაურით გაერთიანებული მრავალტომებული კარტოგრაფიული გამოცემები.

ცალკე გამოცემული კარტოგრაფიული დამატებები, რომელთაც არ გააჩნიათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა და ახლავას სხვა გამოცემებს (წიგნებს, ბროშურებს, ჟურნალებს და სხვ.). ცალკე არ აღირიცხება. ისინი აღირიცხება და ინახება ერთ კომპლექტში ძირითად გამოცემასთან ერთად.

12. ნორმატიულ-ტექნიკური და ტექნიკური დოკუმენტები (პატენტები, ტიპური პროექტები და ნახატები, სამრეწველო აღჭურვილობის და ნაკეთობების კატალოგები, ნორმატიული დოკუმენტები სტანდარტები, წესები და ა.შ.) — აღირიცხება ეგზემპლარებით და სახელწოდებებით.

ერთ ეგზემპლარად და ერთ სახელწოდებად აღირიცხება:

- სტანდარტები და კატალოგები სამრეწველო ნაკეთობებზე, გამოცემული ერთ საგამომცემლო ყდაში, თუ ყდაზე მითოთებული მათი საერთო ფასი და სარედაქციო ცნობები;
- ცალკე ეგზემპლარად და ცალკე სახელწოდებად აღირიცხება:
- სტანდარტები და კატალოგები სამრეწველო აღჭურვილობაზე და ნაკეთობებზე, გამოცემული ცალკე ფურცელების სახით და ყოველ მათგანს გააჩნია საკუთარი სარედაქციო ცნობები, ფასი, ტრაქი აღირიცხება ცალკე ეგზემპლარებად და ცალკე სათაურებად იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი გაერთიანებულია ერთ საგამომცემლო ყდაში.

13. გამოქვეყნებელი დოკუმენტები აღირიცხება ეგზემპლარებით და სახელწოდებებით.

ერთ ეგზემპლარად და ერთ სახელწოდებად აღირიცხება:

- დეპონირებული სამეცნიერო შრომა (ნაშრომის ორი ეგზემპლარი) და თანმხლები მასალა ერთ საქაღალდეში;
- გამოუქვეყნებელი დოკუმენტები, აკინძეული ბროშურად ან მოთავსებული ერთ საქაღალდეში.



14. პერიოდულად განახლებადი ბეჭდური გამოცემა — აღირიცხება როგორც დამწუკდებლებისა სახელწოდების ბიბლიოთეკაში პირველადი შემოსვლის დროს. შემდგომში შემოსული ჩანაწერი ფურცლებზე შესაბამისი გვერდების ჩასახაცვლებლად, ან გამოცემის შესავსებად, არ ექვემდებარება ცალკე აღირიცხას.

15. ფაქსიმილური გამოცემა — აღირიცხება, როგორც ორიგინალი.

16. აუდიოვიზუალური დოკუმენტი არის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს გამოსახულებრივ, ხმოვან, ტექსტურ ინფორმაციას ან მათ შერწყმას, რომელთა აღმა დაკავშირებულია ტექნიკის გამოყენებასთან. აუდიოვიზუალურ დოკუმენტებს განკვთვენა ფოტოდოკუმენტები, ფონოდოკუმენტები, ვიდეოდოკუმენტები, დოკუმენტები მიკროფორმები.

17. აუდიოვიზუალური დოკუმენტის აღრიცხვის ერთეულია ეგზემპლარი და სახელწოდება.

ცალკე ეგზემპლარად აღირიცხება:

- დისკი — გრამფირფიტებისთვის;
- კასეტა, კოჭა;
- კასეტა — ვიდეოდოკუმენტებისთვის;
- კადრი — ფოტოდოკუმენტებისთვის (დიაპოზოფიკი);
- ფიში — მიკროფორმებისთვის;
- რულონი — მიკროფილმებისა და დია ფილმებისთვის;
- ბაბინა — კინოფილმებისთვის.

ცალკე სახელწოდებად აღირიცხება:

- ცალკე გამოცემული გრამფირფიტა, კასეტა, ან კასეტების კომპლექტი (აბბომი) გაერთიანებული საერთო სათაურით;
- შაგნიტური ფონოგრამა ერთ კოჭაზე (კასეტაზე), მაგნიტური ფონოგრამა რამდენიმე კოჭაზე (კასეტაზე) გაერთიანებული საერთო სათაურით;
- ცალკე გამოცემული ფონოდოკუმენტი ან დოკუმენტის კომპლექტი, გაერთიანებული საერთო სათაურით;
- კინოფილმი, დიაფილმი, შემადგენელი ნაწილების ან კადრების რაოდენობის მიუხედავად;
- ფიშების კომპლექტი, გაერთიანებული საერთო სათაურით.

18. ელექტრონულ დოკუმენტებს განეკუთვნება ელექტრონული დოკუმენტები მოხსნად მატარებლებზე, ლოკალური წვდომის ქსელური დოკუმენტები, დისტანციური წვდომის ქსელური დოკუმენტები.

19. დოკუმენტები მოხსნად მატარებლებზე წარმოადგენს ავტონომიურ ობიექტებს, რომლებიც განკუთვნილია ლოკალური გამოყენებისთვის და გამოიცემა განსაზღვრული რაოდენობის იღენტური ეგზემპლარებით. მოხსნად მატარებლებზე ელექტრონული დოკუმენტების აღრიცხვის ერთეულია ეგზემპლარი და სათაური.



20. ცალკე ერთეულად აღირიცხება ოპტიკური დისკი და დისკეტა. ცალკე ერთეულად შეიძლება აღირიცხოს აგრეთვე დამატებები სხვადასხვა გამოცემებზე. რომელთაც გააჩნიათ დამოუკეთებელი ფუნქცია, ხოლო მუშაობის დროს გამოიყენებიან ძირითადი გამოცემისგან დამოუკიდებლის დარღვევა.

21. ცალკე ეგზემპლარებად არ აღირიცხება ოპტიკური დისკები, რომლებიც გამოცემის ჩანართს წარმოადგენს ან მისი (გამოცემის) განუყოფელი დამატება.

ერთ სახელწოდებად აღირიცხება:

- ყოველი ცალკე გამოცემა ოპტიკურ კომპაქტ-დისკზე;
- ლოკალური დისკი, შესული დანომრილი ან დაუნომრავ ელექტრონულ გამოცემათა სერიაში;
- კომპაქტ-დისკების კომპლექტი, გაერთანებული საერთო სათაურით;
- დამოუკიდებლად გამოცემული დამატებები ნებისმიერ გამოცემაზე, რომელთაც ცალკე სათაური აქვთ და გამოიყენება ძირითადი გამოცემის გარეშე;
- შევსებადი დოკუმენტები მოხსნად მატარებლებზე.

თავი V

საბიძლიოთეკო ფონდში შემოსული დოკუმენტების აღრიცხვა

მუხლი 8

1. საბიძლიოთეკო ფონდის დაკომპლექტების წყაროა: სავალდებულო ეგზემპლარი ("დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ") საქართველოს კანონის შესაბამისად, დოკუმენტების შექმნა საბიუჯეტო თანხებით, დოკუმენტების ნებაყოფლობითი გადმოცემა გამომცემლობების და ავტორების მიერ, შეორინულობა-საჩქარი თრგანიზაციებისა და კერძო პირებისაგან, წიგნთაცვლა ბიძლიოთეკებს შორის.

2. შექმნილ დოკუმენტებს, განურჩევლად მათი სახეობისა და შენახვის ვადებისა, უნდა ერთვოდეს თანმხლები საბუთები (ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედნადები). შექმნილ დოკუმენტებზე, აგრეთვე ყველა სხვა გზით შემოსულ დოკუმენტებზე, მიუხედავად მათი შენახვის ვადებისა, ეროვნული ბიძლიოთეკის დაკომპლექტების განყოფილებაში უნდა გაფორმდეს ბიძლიოთეკაში მიღების პირველადი აქტი – მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება-ჩაბარების აქტის ნომერი შედგება ანბანური და ციფრული კოდებისაგან.

3. დოკუმენტებს, რომლებიც შემოდის ISBN, ISSN, ISMN-ის (საერთაშორისო სტანდარტული ნომრის) განყოფილებასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ან შემოწირულობის (საჩქარის) გზით, უნდა ერთვოდეს გადაცემის აქტი, ან სხვა რაიმე დამადასტურებელი საბუთი.



4. სავალდებულო ეგზიმპლარით შემოსული დოკუმენტები ფორმდება ცალკე, სავალდებულო ეგზიმპლარის სარეგისტრაციო ურჩნალში (დანართი 38) და მიენიჭება ეროვნული ბიბლიოთეკის უნიკალური ნომერი.

5. სავალდებულო ეგზიმპლარის მიღებისა და გაფორმების წესი (დანართი 37,38)

• სავალდებულო ეგზიმპლარის მიღება

სავალდებულო ეგზიმპლარი შემოდის ISBN-ის განყოფილებაში და მის რეგისტრაციას ახორციელებს სავალდებულო ეგზიმპლარის მიმღები ჯგუფი.

• სავალდებულო ეგზიმპლარის რეგისტრაცია (დანართი 38)

სავალდებულო ეგზიმპლარის მიმღები ჯგუფი აწარმოებს შემოსული სავალდებულო ეგზიმპლარის სახელმწიფო რეგისტრაციას სარეგისტრაციო ურჩნალში, რომელშიც იწერება:

- 1. რიგითი ნომერი
- 2. სავალდებულო ეგზიმპლარის შემოსვლის თარიღი (რჩ.თთ.წწწ)
- 3. შემოტანის წყარო: გამომცემელი, სტამბა, ფიზიკური პირი
- 4. შემოტანილი ეგზიმპლარების რაოდენობა
- 5. ავტორი
- 6. სათაური
- 7. გამომცემლობა
- 8. გამოცემის წელი
- 9. გვერდების რაოდენობა
- 10. ქა (ქართული: ჩაიწერება ენის საერთაშორისო კოდი GEO)
- 11. ქა (უცხოური: ჩაიწერება შესაბამისი ენის საერთაშორისო კოდი)
- 12. ეროვნული ბიბლიოგრაფიის ნომერი. ეროვნული ბიბლიოგრაფიის ნომერს დოკუმენტს ანიჭებს სავალდებულო ეგზიმპლარის მიმღები ჯგუფის თანამშრომელი. ეროვნული ბიბლიოგრაფიის ნომერი შედგება: სავალდებულო ეგზიმპლარის ბიბლიოთეკაში შემოსვლის თარიღის (წლის ბოლო რიც ციფრი) და სარეგისტრაციო ურჩნალში დაფიქსირებული რიგითი ნომრისგან, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილია დაიყიდით. რიგითი ნომრის წინ იწერება გამოცემის სახეობის კოდი. წიგნისთვის ეს კოდი იქნება ლათინური "b". მაგალითად თუ წიგნი შემოვიდა 2014 წლის პირველ დეკემბერს და დარეგისტრირდა N1 ნომრად, ანუ მისი რიგითი ნომერი სარეგისტრაციო ურჩნალში არის 1, ეროვნული ბიბლიოგრაფიის ნომერი იქნება 14-b1.

• სავალდებულო ეგზიმპლარის მიღება-ჩაბარების აქტი

სავალდებულო ეგზიმპლარის ყოველ შემოსულ პარტიაზე ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, აქტის ნომერთან ასო "ს" (სავალდებულო) დართვით (დანართი 37). მაგალითად: აქტი № ს1, აქტი № ს2, აქტი № ს3 და ა.შ.



მუხლი 9

1. წიგნის ფონდის, აუდიოვიზუალური, ელექტრონული დოკუმენტების და მიკროფონული დოკუმენტების მიღება-ჩაბარების აქტები შემოსულ დოკუმენტებთან ერთად დაკამპლექტების განყოფილებიდან დასაშუალებლად გადაცემა ფონდებისა და კატალოგების ორგანიზებისა და დაცვის განყოფილებას. აქ მიმდინარეობს მათი დახარისხება მუდმივ და დროებითი შენახვის დოკუმენტებად, რაც აგრძელებული აქტებშიც აისახება.

2. შეძენილი წიგნების, აუდიოვიზუალური, ელექტრონული დოკუმენტების და მიკროფონრჩების თანმხელებ გენდანდებებთან შედარების შემდეგ დაკამპლექტების განყოფილებაში ფორმდება „მიღება-ჩაბარების აქტი“, აქტის ნომერში ლიტერი „შ“-ს მითიცებით, ხოლო ყველა სხვა გზით შემოსულ დოკუმენტზე – აქტის ნომერში ლიტერი „მ“-ს (ინკორპორაცია) მითიცებით (**დანართი 7**).

3. მიღება-ჩაბარების აქტის თავფურცელში იწერება შემდეგი მონაცემები:

- მიღება-ჩაბარების აქტის N;
- დოკუმენტების შემოსვლის თარიღი;
- დოკუმენტების მომწოდებელი ორგანიზაცია, კერძო პირი;
- შემოსული დოკუმენტის სახეობა;
- შემოსული პარტიაში ეგზემპლარების რაოდენობა;
- შემოსული ეგზემპლარების საერთო ღირებულება;
- ხელმოწერები დოკუმენტების მიღება-ჩაბარებაზე.

მიღება-ჩაბარების აქტს უნდა ახლდეს შემოსული ეგზემპლარების სია, რომელიც შედგება შემდეგი რეკვიტებისაგან:

- დოკუმენტის რიგითი N;
- მიმართულება – გრაფაში ჩაიწერება იმ ფონდის ანბანური ან ციფრული კოდი, რომელსაც მოცემულ დოკუმენტს გადასცემს ფონდდებისა და კატალოგების ორგანიზებისა და დაცვის განყოფილება;
- საინვენტარო N;
- ავტორი, სახელწოდება;
- გამოცემის წელი;
- ეგზემპლარის ფასი;
- შენიშვნა.

აქტის ბოლოს უნდა მიეთიოს დასკვნითი მონაცემები, რომელსაც ავხესს და ადასტურებს ფონდდებისა და კატალოგების ორგანიზებისა და დაცვის განყოფილება. დასკვნითი მონაცემები შედგება შემდეგი რეკვიტებისაგან:

- სულ რაოდენობა და თანხა;
- ძირითად ფონდებში ჩაირიცხა (მიეთითება რაოდენობა და თანხა);
- სარეზერვო-გაცვლით ფონდში ჩაირიცხა (მიეთითება რაოდენობა და თანხა);
- ფონდებში არ ჩაირიცხა (მიეთითება რაოდენობა და თანხა. აქ იგულისხმება დაზიანებული დოკუმენტები, დროებითი შენახვის დოკუმენტები ან ლიტერატურა, რომელიც



არ შეესაბამება ეროვნული ბიბლიოთეკის პროფესიულს და ეროვნული ბიბლიოთეკისთვის აც წარმოადგენს მუდმივად შენახვის საჭიროებას, თუმცა სხვა ბიბლიოთეკებისთვის მისამართობა გახდეს დაკამპლექტების წყარო. ამგვარი ლიტერატურა გამოიყენება მთავრობის მიერ მისამართის არგანიზაციებშე გადასაცემად.

4. მუდმივ შენახვას დაქვემდებარებული წიგნის ფონდის მონაცემები ჩაიწერება საინვენტარო წიგნებში და მიენიჭება საინვენტარო ნომრებით.

5. წიგნის ფონდის საბიბლიოთეკო აღრიცხვის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტები (დანართი 7) თანხმლებ საბუთებთან ერთად გადავცემს ეროვნული ბიბლიოთეკის ბუღალტერიას, რომელიც წარმოადგენს საბუღალტრო აღრიცხვასა და ბალანსში ასახვის საფუძველს.

მუხლი 10

ბიბლიოთეკაში შემოსულ დისერტაციებსა და ივტორეფერატებზე ფორმდება „დისერტაციებისა და ავტორეფერატების მიღება-ჩაბარების აქტი“ (დანართი 8).

მუხლი 11

ბიბლიოთეკაში შემოსულ პერიოდულ გამოცემებზე დაკომპლექტების განყოფილებაში უნდა გაფორმდეს „პერიოდული გამოცემების მიღება-ჩაბარების აქტი“, შექრიბლ დოკუმენტებზე აქტის ნომერში ლიტერი „შ“-ს მითითებით, ხოლო ყველა სხვა გზით შემოსულ დოკუმენტები — აქტის ნომერში ლიტერი „თ“-ს (ინკორპორაცია) მითითებით (დანართი 9).

მუხლი 12

1. პერიოდული გამოცემების მიღება და დამუშავება ხორციელდება ეროვნული ბიბლიოთეკის დაკომპლექტების განყოფილებაში. მიმღები კვიფი ღებულობს ახალშემოსულ უურნალ-გაბეთებს თანხმლებდო კუმენტთან (ზედნადებებთან) ერთად. ადარებს შემოსული დოკუმენტების რაოდენობას და სახელწოდებებს ზედნადებებთან და ბიბლიოთეკის მიერ გამოწერილი გამოცემების სიახთან.

2. მონაცემები ახალშემოსული პერიოდული გამოცემების შესახებ შეაქვთ კარტოთეკაში, რომელიც შედგენილია წლის დასაწყისში გამოწერილი დოკუმენტების სიის მიხედვით. მიღებულ დოკუმენტებს ადარებენ კარტოთეკაში არსებულ ჩანაწერებთან და აძლევენ მიმართულებას ფონდებში ჩასარიცხად და დროებითი შენახვისათვის (დარბაზებში გადასაცემად და სხვ.).

3. ინფორმაცია ახალშემოსული დოკუმენტების შესახებ კარტოთეკაში უნდა დაფიქსირდეს შემდეგი მონაცემების მიხედვით:

- პერიოდული გამოცემის სახელწოდება;
- გამოცემის წელი;
- შემოსული ნომრების რაოდენობა;
- ერთეულის ფასი;
- მიმართულება (რომელ ფონდს გადაეცემა);
- რედაქტირის მისამართი, ელფოსტა, საკონტაქტო ტელეფონი;
- გამოსაცემი ნომრების რაოდენობა.



4. კარტოთეგა ლაგდება ანბანზე სახელწოდებების მიხედვით. შემოსული დოკუმენტები მუშავდება ტექნიკურად (დათვევა, აფთრატი) და ფორმდება „პერიოდული გამოცემების მიღება-ჩატარებული აქტი“ (დანართი 9).

5. პერიოდული გამოცემების მიღება-ჩაბარების აქტის თავფურცელი შედგება შემდეგი რეპ-ვიზიტებისაგან:

- მიღება-ჩაბარების აქტის ნომერი;
- შემოსვლის წყარო;
- დოკუმენტის სახეობა (ჟურნალი, გაზეთი);
- ღირებულება;
- ჩაბარა (დაკომპლექტების განყოფილების თანამშრომლის ხელმოწერა).

მოღება ჩაბარების აქტში წარმოდგენილი ჟურნალების/გაზეთების სია შედგება შემდეგი რეკვიზიტებისაგან:

- რიგითი N;
- სახელწოდება;
- ნომერი, ტომი;
- გამოცემის წელი;
- ეგზემპლარების რაოდენობა;
- ეგზემპლარის ფასი;
- სულ ღირებულება;
- მიმართულება (შეახვის ვადების მიხედვით).

აქტის ბოლოს მოცემულია დასკვნითი მონაცემები ეგზემპლარების რაოდენობის, ფონდებში განაწილების და მათი ღირებულების შესახებ:

- სულ რაოდენობა (ეგზ.);
- სულ თანხა (ლარი, ოეთრი);
- ძირითად ფონდებში ჩაირიცხა (ეგზ. ღირებულებით ლარი, ოეთრი);
- დროებით შესანახად განისაზღვრა (ეგზ. ღირებულებით ლარი, ოეთრი);
- გადასცა — დაკომპლექტების განყოფილება;
- მიღლი — მიმღები განყოფილება.

6. ყოველი კვარტლის ბოლოს, მონაცემები “პერიოდული გამოცემების მიღება-ჩაბარების აქტებიდან” გადადის „პერიოდული გამოცემების მიმდინარე ჭამური აღრიცხვის წიგნებში“ (დანართი 11,12) პერიოდული გამოცემის სახეობის (ჟურნალი, გაზეთი) მიხედვით, რომელსაც აწარმოებს მიმღები ჯგუფი.

7. „პერიოდული გამოცემების მიმღინარე ჯამური აღრიცხვის წიგნი“ შედგება შემდეგი რეპ-

ვიზიტებისაგან:

- რიგითი N;
- მიღება-ჩაბარების აქტის თარიღი (თვე, რიცხვი, წელი);
- ეგზემპლარების რაოდენობა ერთვეულებში და კომპლექტებში;
- გამოცემის აღგიღი (საქართველოში გამოცემული, უცხოეთში გამოცემული);
- მიმართულება (ძირითად ფონდებში, დროებითი შენახვისთვის);
- ღირებულება.

8. მუდმივი შენახვისთვის მომზადებული პერიოდული გამოცემების დოკუმენტები გადადის ლამუშავების ფარგლებში, სადაც მიმღინარეობს მათი კომპლექტებად შეკვრა და საინვენტარო ნომრის მინიჭება. „პერიოდული გამოცემების საინვენტარო წიგნები“ (დანართი 2) შედგენილია ენების მიხედვით და შედგება შემდეგი მონაცემებისაგან:

- ჩანაწერის თარიღი;
- საინვენტარო ნომერი;
- გამოცემის სახელწოდება;
- გამოცემის ადგიღი;
- გამოცემის წელი;
- ტომი, ნომერი;
- ნომრების რაოდენობა;
- ეგზემპლარის ფასი;
- წლიური კომპლექტის ფასი;
- ISSN;
- გარიცხვის აქტის ნომერი;
- შენიშვნა.

მუხლი 13

1. მონაცემები საბიბლიოთეკო ფონდში შემოსული დოკუმენტების შესახებ „მიღება-ჩაბარების აქტებითან“ გადადის საბიბლიოთეკო ფონდის „მიმღინარე ჯამური აღრიცხვის წიგნებში“ (დანართი 10-19), რომლებიც შედგება შემდეგი რეკვიზიტებისაგან:

- ჩანაწერის რიგითი ნომერი (რიგითი ნომერი ყოველწლიურად იწყება N1-ით);
- ჩანაწერის თარიღი (თვე და რიცხვი);
- წელი;
- მიღება-ჩაბარების აქტის ნომერი;
- შემოტანის წყარო;
- სულ შემოსულია;

- დოკუმენტის დასახელებათა რაოდენობა;
- რაოდენობა კომპლექტებში (პერიოდული გამოცემებისთვის);
- ჩარიცხულია ძირითად ფონდებში;
- ჩარიცხულია გაცვლით ფონდებში;
- ფონდებში არ ჩაირიცხა;
- სულ შემოსული ეგზემპლარების ღირებულება;
- ბალანსზე აყვანილი ეგზემპლარების რაოდენობა და თანხა.

2. მიმდინარე ჯამური აღრიცხვის წიგნები იწარმოება დოკუმენტების კატეგორიებით: ბეჭდური და გამოცემებურებელი დოკუმენტები, აუდიოვიზუალური დოკუმენტები, მიკროფორმები, ელექტრონული დოკუმენტები. თითოეული კატეგორია შედგება დოკუმენტის შესაბამისი სახე-ობებისაგან. ბეჭდური გამოცემების ყოველ სახეობაზე იწარმოება საკუთარი მიმდინარე ჯამური აღრიცხვის წიგნები:

1) ბეჭდური გამოცემები:

- „წიგნად ფონდში დოკუმენტების შემოსვლის მიმდინარე ჯამური აღრიცხვის წიგნი“ (დანართი 10);
- „პერიოდული გამოცემების (ჟურნალი) შემოსვლის მიმდინარე ჯამური აღრიცხვის წიგნი“ (დანართი 11);
- „პერიოდული გამოცემების (გაზეთი) შემოსვლის მიმდინარე ჯამური აღრიცხვის წიგნი“ (დანართი 12).

2) სხვა ბეჭდური გამოცემები:

- „მუსიკალური გამოცემების (ნოტების) შემოსვლის მიმდინარე ჯამური აღრიცხვის წიგნი“ (დანართი 13);
- „კარტოგრაფიული გამოცემების შემოსვლის მიმდინარე ჯამური აღრიცხვის წიგნი“ (დანართი 14);
- „ფურცლოვანი გამოცემების (პლაკატები, ესტამპები) შემოსვლის მიმდინარე ჯამური აღრიცხვის წიგნი“ (დანართი 15);
- „დისერტაციებისა და ავტორუფერატების შემოსვლის მიმდინარე ჯამური აღრიცხვის წიგნი“ (დანართი 16).

2) „აუდიოვიზუალური დოკუმენტების შემოსვლის მიმდინარე ჯამური აღრიცხვის წიგნი“ (დანართი 17).

3) „მიკროფორმების შემოსვლის მიმდინარე ჯამური აღრიცხვის წიგნი“ (დანართი 18).

4) „ელექტრონული დოკუმენტების შემოსვლის მიმდინარე ჯამური აღრიცხვის წიგნი“ (დანართი 19).

3. მონაცემები დოკუმენტების შემოსვლის მიმდინარე ჯამური აღრიცხვის წიგნებიდან გადასცის შესაბამისად, „საბიძლიოთეკო ფონდში ჩარიცხული დოკუმენტების წლიური ჯამური აღმცენების წიგნის“ პირველ ნაწილში (დანართი 4) და „წიგნის ფონდის მოძრაობის წლიურ შედეგების“ (დანართი 4a).

მუხლი 14

1. მისაღებად მოშპადებული დოკუმენტების პირველადი აღრიცხვის შემდეგ, ფონდებში ჩარიცხვა ხორციელდება დიფერენცირებულად, მათი ინდივიდუალური აღრიცხვის გზით და დანაწილებით მუდმივ და დროებით შესანახ დოკუმენტებად.

2. მუდმივშესანახ დოკუმენტებს (წიგნის ფონდი, საარქივო დოკუმენტები, წიგნადი ძეგლები, მხარეთმცოდნებითი გამოცემები, საჩუქარი, პრიოდული გამოცემები და სხვ.), რომლებიც აკმაყოფილებენ ბიბლიოთეკას დაკომპლიქების პროცესს, ენიჭებათ საინვენტარო ნომრები.

3. საინვენტარო ნომერი უნდა დაისავას უშუალოდ დოკუმენტები ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ დაწესებულ ადგილზე და აისახოს მოცემული დოკუმენტის კატეგორიისთვის განკუთვნილ საარქიცხვო ფორმაში.

4. იმ დოკუმენტების ღირებულების შეფასებას, რომელსაც არ ახლავს შეძნის დამატასტურებელი საბუთები ან საერთაშორისო სტანდარტული ნომრის მინიჭებისას ავტორის/გამომცემლობას მიერ არ აქვს მითითებული სავარაუდო ფასი, ახდენს შემფასებელი კომისია მათი საბაზრო ღირებულების შესაბამისად ეროვნულ ბიბლიოთეკაში შემზოსვლის თარიღის მომენტისთვის. შემფასებელი კომისიის დებულებას და შემაღენლობას ბრძანებით ამტკიცეს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დორექტორი.

5. იმ შემთხვევაში, თუ საჩუქარი არ შემოწირულობა არ შეესაბამება ეროვნული ბიბლიოთეკის პროფილს, ან არსებულ ფონდებთან შედარებისას აღმოჩნდება კოლექტების ხსირი დებლირება, შემოსული დოკუმენტები ფონდებში არ ჩაირიცხება და მათი შეფასება არ წარმოებს.

მუხლი 15

1. საბიძლიოთეკო ფონდში ჩასარიცხი დოკუმენტები ექვემდებარება მარკირებას. მარკირებისთვის გამოიყენება შეტაბეჭირები, წიგნის სპეციალური ნიშნები, ინდივიდუალური შეტაბეჭირები. მარკირების დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი ძირითადი მოთხოვნები: კუთვნილების აღნიშვნა, მარკირების ესთეტიკა, მარკირების ნიშნის უცველელობა და, შეძლებისდაგვარად, დიზაინის უცვლელობა.

2. დოკუმენტებზე, რომლებიც ძირითადი გამოცემის დამატებას წარმოადგენენ და მათი განუყოფელია ნაწილია, დაისმება იგივე რეკვიზიტები, რაც ძირითად დოკუმენტებზე.

3. ელექტრონული დოკუმენტები მოხსნად მატარებელზე ექვემდებარება მარკირებას რბილი ფლობასტერებით; მონაცემები შეაქვთ დისკის ზედა არასამუშაო ნაწილზე.

მუხლი 16

1. დროებითი შენახვის დოკუმენტების რეგისტრაცია ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტებში (დანართი 7, 9) საინვენტარო ნომრის მინიჭების გარეშე. მათი ფონდში ყოფნა განსაზღვრულია 1–3 წლიამდე.



2. დროებითი შენახვისაა ღოკუმენტები, რომლებიც არ აკმაყოფილებს ბიბლიოთეკის დეპოზიტა
რული ფონდების და სარეზერვო-გაცვლითი ფონდის დაკომპლექტების პროფილების შემთხვევაში და სარგებლობა.

3. დროებითი შენახვის ღოკუმენტებს განეკუთვნება: რეკლამის მიზნით გამოცემული ბებლიკაციები, სადაც ლიტერატურული ან სამეცნიერო ტექსტი წარმოადგენს დამხმარე ან დამატებით ინფორმაციას. პოტენციული და სასწავლო-დამხმარე ლიტერატურისა და დარბაზებში გადაცემული მიმღინარე პერიოდიკის ჭარბი ეგზემპლარები, სამუდიცინო და კომერციული ხასიათის მასალა, მკითხველთათვის დამზადებული განსაკუთრებით აქტუალური ლიტერატურის ქსერო და ფოტო ახლვები.

მათ მიეკუთვნება:

- საცატრო კატალოგები; პროსპექტები და კომერციული, სამრეწველო და ტურისტული რეკლამები
- განრიგები, პრეისკარანტები, სატელეფონო ცნობარები;
- გამოფენების, ბაზრობების, გართობების პროგრამები;
- წესები, ანგარიშები, ცირკულარები;
- კალენდრები;
- ელექტრონული ტექსტები;
- ჟუბლიკაციები, რომელთა ტექსტი არ წარმოადგენს გამოცემის ძირითად ნაწილს;
- კონტენტული რეკები;
- გამოწერილი გაზიერები დარბაზებისთვის;
- ბიბლიოთეკის მიერ თავისივე ბაზაზე შექმნილი ღოკუმენტები, რომლებიც არ არის ტრიალურებული, ბრუნვაში არ იმყოფება და განკუთვნილია საბიბლიოთეკო ღონისძიებების ჩასატარებლად.

მუხლი 17

1. სარეზერვო-გაცვლითი ფონდი ძირითადად კომპლექტდება საქართველოში გამოცემული, აგრეთვე საქართველოს და კავკასიის შესახებ და საზღვაგარეთ საქართველოს მოქალაქეების ავტორობით გამოცემული ღოკუმენტებით. სარეზერვო-გაცვლითი ფონდისთვის განკუთვნილი მიმღინარე ლიტერატურა (ღოკუმენტები) აღირიცხება – „მიღება-ჩაბარების აქტში“ ფონდის მიმართულების აღნიშვნით, საიდანაც მონაცემები გადადის „სარეზერვო-გაცვლით ფონდში დოკუმენტების გადაცემის აქტში“ (დანართი 20). აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შედგება „სარეზერვო-გაცვლით ფონდში დოკუმენტების გადაცემის აქტი“ (დანართი 21).

2. ძირითადი ფონდებიდან სარეზერვო-გაცვლითი ფონდისთვის დოკუმენტების გადაცემისას ფორმდება „სარეზერვო-გაცვლით ფონდში დოკუმენტების გადაცემის აქტი“ (დანართი 20).

3. სარეზერვო-გაცვლითი ფონდის რეზერვი განკუთვნილია, საჭიროების შემთხვევაში, ძირითად ფონდებში არსებული დაზიანებული დოკუმენტების ჩასანაცვლებლად ან უსასყიდლოდ გადასაცემად სხვა ბიბლიოთეკებისა და ორგანიზაციებისთვის.



4. სარეგისტრო-გაცვლითი ფონდიდან სხვა ორგანიზაციებისთვის დოკუმენტების გამოყენება ხორციელდება თრანსპორტი შეთანხმების საფუძველზე და ფორმდება „ორგანიზაციებში ფინანსურული გაცვლების აქტით“ (დანართი 23), რომელსაც ერთვის გადასაცემი ლიტერატურის სის. აქტის ფუძეული აწერებ მისი შემდგენელი პირები, განიხილება საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვის კომისიაზე და მტკიცდება ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მიერ.

თავი VI

დოკუმენტების საბიბლიოთეკო ფონდიდან

გარიცხვა

მუხლი 18

1. საბიბლიოთეკო ფონდიდან დოკუმენტების გარიცხვა ფორმდება „საბიბლიოთეკო ფონდიდან დოკუმენტების გარიცხვის აქტით“ (დანართი 24). აქტში უნდა დაფიქსირდეს გასარიცხვი დოკუმენტების რაოდენობა და მიეთითოს გარიცხვის მიზეზი სიტყვიერი და ციფრული კოდის გამოყენებით. საბუღალტრო აღრიცხვაზე მყოფი მუდმივად შესანახი დოკუმენტების გარიცხვის აქტში უნდა მიეთითოს მათი ღირებულება.

2. საბიბლიოთეკო ფონდიდან დოკუმენტების გარიცხვის აქტი ფორმდება გარიცხვის ყოველ მიზეზზე ცალ-ცალკე. გარიცხვის აქტში წიგნებისა და სხვა დოკუმენტების რაოდენობას განსაზღვრავს ერთვნული ბიბლიოთეკა. დაუშვებელია ფონდიდან საარქივო ფონდის ერთადერთი ეგზემპლარის გარიცხვა, თუნდაც ის შინაარსობრივად მოძველებული და დეფექტიანი იყოს ან მასზე ნაკლებად არსებობდეს მოთხოვნა.

3. ფონდიდან გარიცხვის მიზეზები და მათი შესაბამისი ციფრული კოდები:

- **არაპროფილობა:** ბიბლიოთეკის დაკომპლექტების პროფილისთვის შეუსაბამო გამოცემები შინაარსის, მკოთხველთა მოთხოვნის, გამოცემის სახეობის, ენის და სხვა მიზეზით (01);
- **დუბლეტურობა** (ჭარბი ეგზემპლარები): ფონდში არსებული მრავალეგზემპლარიანი გამოცემები, რომელთა რაოდენობა აღარ შეესაბამება მათზე მოთხოვნას (02);
- **დეფექტიანობა:** ტიპოგრაფიული წუნით გამოცემული ან ხელორინურად დაზიანებული ეგზემპლარები – წაშლილი ტექსტი, არასწორად შეკერილი ვერდები, ნაკლული ფურცლები და სხვ. (03);
- **ფიზიკური სიძველე:** ინფორმაციის მატარებელი საშუალების ბუნებრივი დაძველება, ქიმიურად დაშლა, ტექსტის წაშლა, გამოსახულების ხარისხის დაკარგვა და სხვ.; დოკუმენტები, რომლებსაც ცვეთის გამო დაკარგული აქვთ მოხმარების ფუნქცია და მათი აღდგენა შეკლებელია (04);
- **შინაარსობრივად (მორალურად)** მოძველება: გამოცემები, რომლებმაც დაკარგა სამეცნიერო, პრაქტიკული და ისტორიულ-კულტურული ღირებულება, ინფორმაციულობა და აქტუალობა (05);
- **შენახვის ვადის გასვლა:** დროებითი შენახვის ეგზემპლარებისთვის დადგენილი ვადის გასვლა (06);



- **დანაკლისი:** საბიბლიოთეკო დოკუმენტების შემოწმების შედეგად გამოვლენილი და-ნაკლისი (07);
- დაკარგვა სხვადასხვა მიზეზით: მკითხველთა მომსახურების დროს ან დამუშავების პროცესში, საბიბლიოთეკო ფონდის გადატანის ან ტრანსპორტირების დროს (08);
- ფირის დოკუმენტიანობა: აუდიოვიზუალური დოკუმენტების (09);
- მექანიკური დაზიანება: ელექტრონული დოკუმენტების (10).

4. დუბლეტური (ჰარბი) და არაპროფილური ეგზემპლარები ფონდიდან გარიცხვის შემდეგ გადაეცემა ბიბლიოთეკის სარეზერვო-გაცვლით ფონდს შესაბამისია აქტით (დანართი 20), თუ ისინი შეესაბამება სარეზერვო-გაცლითი ფონდის დაკომპლექტების პროცესს. სარეზერვო-გაცვლით ფონდში ისინი გამოიყენება ძირითად ფონდებში დაზიანებული ეგზემპლარების ჩანაცვლების მიზნთ, სხვა ბიბლიოთეკების დასაკომპლექტებლად, ან საკუთარი საბიბლიოთეკო ფონდების რეზერვის შესაქმნელად.

5. გარიცხვის აქტის თავფურცელი შედეგი შემდეგი რეკვიტებისაგან:

- აქტის №;
- ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვის კომისიის სხდომაზე განხილვის ჩანაწერი;
- საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორის ხელმოწერა;
- აქტის შედგენის თარიღი;
